დუშეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №1

ქ. დუშეთი

მაისი 2020 წელი

კომისიის წევრეზი:

კომისიის თავმჯდომარე:

ზესიკი ზიჩნიგაური - მერის პირველი მოადგილე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ზაქარია ხეხელაშვილი - მერის მოადგილე.

კომისიის წევრები:

მარიამ ზაქაიძე – მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი; **დავით შაბურიშვილი**- საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურის ერთეულის ხელმძღვანელი;

ზურაბ ყაჭიური - ქონების მართვის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ვლადიმერ კობაიძე - ინფრასტრუქტურის განვითარების, რეაბილიტაციისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ლაშა სალბიშვილი - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

იოსებ ღარიბაშვილი - სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

სატენდერო კომისიის აპარატი:

ირმა ჩოხელი - შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; ვალოდია პაპუკაშვილი - შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

დღის წესრიგი:

ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე საშუალებით, დუშეთის მუნიციპალიტეტი, ჭართლის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ გზის დამცავი გაბიონის მოწყობა მეწყერთან (ემზარ მამულაშვილის სახლთან) და სანიაღვრე არხის და მილის გაწმენდის სამუშაოების მიზნით, სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცების შესახებ. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 12740,00 (თორმეტი ათას შვიდას ორმოცი) ლარი.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიამ სხდომას დასამტკიცეზლად წარუდგინა ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე საშუალებით, დუშეთის მუნიციპალიტეტი, ჭართლის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ გზის დამცავი გაბიონის მოწყობა მეწყერთან (ემზარ მამულაშვილის სახლთან) და სანიაღვრე არხის და მილის გაწმენდის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის პროექტი.

სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის შესახებ. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 12740,00 (თორმეტი ათას შვიდას ორმოცი) ლარი.

დაადგინეს:

- 1) დამტკიცდეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი (ტენდერი გამოცხადდეს დღგ-ს გარეშე);
- 2) სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში: https://tenders.procurement.gov.ge

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: 8. Fn 1.

/გ. გიჩნიგაური/

/ზ. ხეხელაშვილი/

კომისიის წევრები:

/მ. ზაქაიძე/

/დ. შაბურიშვილი/

/ზ.ყაჭიური/

/ი. ღარიბაშვილი/

/ლ. სალზიშვილი/

_/g. კობაიმე/

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

10. Babomo/ n half